

Arabesque

BALLET MAGAZINE

არაბესკი ჟურნალი ბალეტზე

No1(26)'16





საქართველოს სახელმწიფო
ბალეტი

STATE BALLET
OF GEORGIA

სახელმწიფო სეზონის დასრულება BALLET SEASON CLOSING



ნიანა
ანანიშვილი

და საქართველოს სახელმწიფო ბალეტი

Nina Ananiashvili
and STATE BALLET OF GEORGIA

გალა-კონცერტი
GALA-CONCERT

სახელმწიფო ბალეტის სახელმწიფო ხელოვნების
ნიანა ანანიშვილი BALLET COMPANY ARTISTIC DIRECTOR
NINA ANANIASHVILI

ივლისი 2016
JULY

9 | 19:00

თიბისი ბანკი
TBC BANK



ROOMS HOTELS



kikala studio



ASKANELI



BDO



ARTAREA TV

Forbes

PALITRA NEWS



Arabesque

No1(26) 2016

Ballet Magazine

„არაბესკი“ მუსიკალური ბალეტის



ზაპარია ფალიაშვილის სახელობის
თბილისის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო
თეატრის საბალეტო დასის მუსიკალური

MAGAZINE ABOUT THE BALLET COMPANY OF THE TBILISI
Z. PALIASHVILI OPERA AND BALLET PROFESSIONAL STATE THEATRE

გამოდის წელიწადში ორჯერ

Issued twice a year

თეატრის სამხატვრო
ხელმძღვანელი
დაპირველი კინოფორმის
დაპირველი

Artistic Manager
of the Theatre
DAVID KINTSURASHVILI

საბალეტო დასის
ხელმძღვანელი
ნინო ანანიასვილი

Artistic Director of
the Ballet Company
NINA ANANIASHVILI

მთავარი რედაქტორი
ილია თავბერიძე

Editor-in-Chief
ILIA TAVBERIDZE

ინგლისური ტექსტების
რედაქტორი
ორსოლია საროსი

Editor of the English
language content
ORSOLYA SAROSSY

ინგლისურად ტექსტები
თარგმნა
მარიამ ჯორჯაძე

Texts translated
to English by
MARIAM JORJADZE

დიზაინი
ბესიკ დანელიასი

Design by
BESIK DANELIA

ფოტოგრაფი
ლადო ვაჩნაძე

Photographer
LADO VACHNADZE

ნომერში გამოყენებულია ლადო ვაჩნაძის, კახა შარტავას,
ჟანეტ ო'კეფის, გიორგი აბდალაძის ფოტოები.

This issue features photographs by Lado Vachnadze,
Kakha Shartava, Janet O'Keeffe, Giorgi Abdaladze.

გარეკანზე: „გორდა“. გიორგი აბდალაძის ფოტო
Cover photograph: "Gorda". Photo by Giorgi Abdaladze

დაბეჭდა შპს „სეზანე“
Printed by "Cezanne" Ltd

თბილისი 0108, რუსთაველის გამზირი 25
25, RUSTAVELI AVE. 0108, TBILISI, GEORGIA
0108/TEL: +995 32 235 75 03

თირაში: 300

UDC (უბკ) 792.8
A-70

ISSN 1512-3294

www.opera.ge

ხუთი საპრემიერო სპექტაკლი ოთხ თვეში – ასე დაიწყო განხლებული ოპერის თეატრში საბალეტო დასის შემოქმედებითი ცხოვრება და ბუნებრივია, „არაბესკის“ ამ ნომრის მთავარი თემები ამ პრემიერებისგან მიღებული შთაბეჭდილებებია.

„გორდას“ აღდგენა და მისი ახალი რედაქცია, როგორც დამდგმელი ჯგუფი ფიქრობს, ვახტანგ ჭაბუკიანის შემოქმედების, ქართული ბალეტის ისტორიისა და დღევანდელი უწყვეტობისკენ გადადგმული ნაბიჯია; „გედების ტბის“ და „ფასკუნჯის“ ისტორიული სპექტაკლების დადგმა კი კლასიკური საბალეტო მემკვიდრეობისადმი პატივის მიგებაა, რითაც ყოველთვის გამოჩნეულია ნებისმიერი საბალეტო კომპანია. მაგრამ რეპერტუარში მხოლოდ კლასიკა არაა წარმოდგენილი – დაიდგა კილიანის „სარაბანდა“ და სრულად იქნა წარმოდგენილი მისი ქორეოგრაფიის პროგრამა, ნაჩვენები იქნა ბალანჩინის „სიმფონია დო მაჟორი“ და რეპერტუარში აქამდე არსებული ქორეოგრაფიის კიდევ ორი ბალეტი.

ივნისის ბოლოს მაცურებელს საბალეტო დასი საერთაშორისო პროექტზე იწვევს – ნინო სურგულაძის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ნატვრის ხე“, თბილისის ოპერის თეატრთან ერთად, მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს. პროგრამაში ნინო როტას სუიტაზე (ფედერიკო ფელინის ფილმიდან „La Strada“) დადგმული ბალეტი იქნება, სადაც ნინო ანანიასვილი და საბალეტო დასი მიიღებს მონაწილეობას. ამ და სხვა მნიშვნელოვან ამბებზე მომავალ ნომერში მოგიტხრობთ.

Five premiere performances in four months – the Ballet Company's artistic life has been very busy since the opening of the renewed Opera Theatre, and this edition of *Arabesque* will mainly focus on impressions gained from our new premieres.

The restoration and new choreographic version of Gorda is another step taken towards the permanency of Vakhtang Chabukiani's art and continuation of the rich history of Georgian ballet. New staging of historical ballets – like *the Firebird* and *Swan Lake* – enriches ballet heritage, and makes every company distinct. However, the repertoire covers not only classical performances – the Company presented Kylian's *Sarabande*, as well as his full choreographic program; Balanchine's *Symphony in C* and two more of his ballets which had already been part of the choreographic repertoire.

At the end of June, the Ballet Company invites the audience to experience an important international project – Nino Surguladze's international charity fund “Natvris Khe” and the Tbilisi Opera and Ballet Theatre entered into a significant cooperation. The program will cover a ballet based on Nino Rota's Suite (from Federico Fellini's film *La Strada*), with the participation of Nino Surguladze and the Ballet Company. We will share with you interesting details about the event and further articles in our next edition.



მთავარი თემა • LEAD STORY

04

თეატრის გახსნა
The Theatre's Grand Reopening

პრემიერა • PREMIERE

08

„გორდა“
“Gorda”

12

განახლებული „გედების ტბა“
New Production of “Swan Lake”





ინტერვიუ პრემიერის წინ · INTERVIEW BEFORE PREMIERE

ვლადიმერ სარიშვილი · VLADIMIR SARISHVILI

16 გადაფრენა „ფასკუნჯის“ ბუდეზე
Flight Over the Nest of the “Firebird”

პრემიერა · PREMIERE

28 „სარაბანდა“
“Sarabande”

ხსოვნა · MEMORY

ტათიანა კუზნეცოვა · TATIANA KUZNETSOVA

32 მარადიული ხსოვნის გამოცდა
Examination of Eternal Memory

ინტერვიუ · INTERVIEW

ვენდი პერონი · WENDY PERRON

37 ნინო ანანიაშვილის
ორგზის დაბრუნება ამერიკაში
Nina Ananiashvili’s Double Return to the U.S.



42 Ballet News

გასტროლი · TOUR

ჯანი ვილანი · GIANNI VILLANI

44 დეგას ტილოებივით მშვენიერი
საქართველოს ბალეტი
Ballet of Georgia – Gorgeous as Degas’ paintings

ფოტორეპორტაჟი · PHOTO REPORT

44 „ჩვენ მზის შვილები ვართ“
Children of the Sun

თეატრის გახსნა

The Theatre's Grand Reopening

30 იანვარს საზეიმოდ გაიხსნა
თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის
ოპერისა და ბალეტის განახლებული თეატრი.

On January 30, 2016
the Tbilisi Z. Paliashvili
Opera and Ballet
Theatre officially
reopened.



ექვსწლიანი პაუზის შემდეგ განახლებულმა თეატრმა პირველი წარმოდგენა გამართა. როგორც დიდი ხნით ადრე იყო ცნობილი თეატრი მაყურებელს ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ ახალ დადგმას შესთავაზებდა. სწორედ ამ ოპერის პრემიერით გაიხსნა განახლებული თეატრი. „აბესალომ და ეთერის“ ახალი დადგმის რეჟისორია გიზო ჟორდანია; მხატვარი გოგი ალექსი-მესხიშვილი, ქორეოგრაფი – ილიკო სუხიშვილი; წამყვანი პარტიები შეასრულეს მსოფლიოში აღიარებულმა ქართველმა მომღერლებმა – ლადო ათანელმა (მურმანი) და თამარ ივერმა (ეთერი), რომლებიც თეატრმა სპეციალურად ამ საპრემიერო სპექტაკლისთვის მოიწვია. აბესალომის პარტია თეატრის წამყვანმა სოლისტმა



After six years, the first performance was presented at the renovated theatre. As it had been known long before, the theatre presented a new production of Zakaria Paliashvili's *Abesalom and Eteri*. *Abesalom and Eteri* was directed by Gizo Jordania; the production designer was Gogi Alexi-Meskishvili, the choreographer was Iliko Sukhishvili. The leading roles were performed by world-renowned Georgian performers – Lado Ataneli (Murman) and Tamar Iveri (Eteri) who were invited especially for this premiere. *Abesalom's* part was performed by leading soloist of the theatre, Teimuraz Gugushvili. The performance was conducted by Zaza Azmaiparashvili.

Before the beginning of the performance, the Red and Blue Halls of the theatre held an exhibition of *Abesalom*






პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი
PRIME MINISTER GIORGI KVIRIKASHVILI

თეიმურაზ გუგუშვილმა შეასრულა. სპექტაკლს ზაზა აზმაიფარაშვილი დირიჟორობდა.

სპექტაკლის დაწყებამდე, თეატრის წითელ და ცისფერ დარბაზებში გამოფენილი იყო „აბესალომ და ეთერი“ კოსტიუმები, პარტიტურები და სხვა ისტორიული დოკუმენტები, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ისტორიის ამსახველი მასალები.

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობის რემონტი 2010 წელს დაიწყო (პროექტის მთავარი არქიტექტორი – ლერი მეძმარიაშვილი). პროექტი ითვალისწინებდა თეატრის სრულ აღდგენით-სარესტავრაციო სამუშაოებს. შენობას ჩაუტარდა შიდა და გარე სარესტავრაციო სამუშაოები, მათ შორის: გამაგრდა ფუნდამენტი, სახურავი ფურცლოვანი სპილენძით გადაიხურა, განახლდა და ამავდროულად პირვანდელი სახე შეუნარჩუნდა ოპერის თეატრის ფასადსა და ინტერიერს; სრულიად შეიცვალა სცენის ზედა და ქვედა მექანიზაცია; გაფართოვდა საორკესტრო




თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი დავით კინცურაშვილი
ARTISTIC DIRECTOR OF THE THEATRE DAVIT KINTSURASHVILI



and Eteri's costumes, musical scores and other historical documents, materials covering the history of the Tbilisi Opera and Ballet Theatre.

The restoration of the Tbilisi Z. Paliashvili Opera and Ballet Theatre began in 2010 (under the supervision of chief architect Leri Medzmarishvili). The project covered full rehabilitation and renovation works. The building underwent internal and external renewal works, including: foundation strengthening, roof covering with copper foil, restoration of the facade and interior of the Opera Theatre, in line with its original look; top and bottom mechanization of the stage was completely changed; the orchestra pit was expanded; modern video, audio, intercom and lighting systems were installed; internal and external networks were fully improved; the halls were refurb-

ორმო; დამონტაჟდა ულტრათანამედროვე ვიდეო, აუდიო, ინტერკომი და განათების სისტემები; სრულიად შეიცვალა შიდა და გარე ქსელები; რესტავრირება გაუკეთდა და ხელახლა მოოქროვდა დარბაზი; თეატრი სრულად აღიჭურვა უმაღლესი კლასის ინსტრუმენტებით (მათ შორისაა ორი დიდი საკონცერტო სტეინვეის როიალი); სრული რესტავრაცია ჩაუტარდა დარბაზში მაყურებელთა სკამებს;



რესტავრაცია ჩაუტარდა ნოდარ ერგემლიძის დიზაინით შექმნილ, ავსტრიული ბროლით დამზადებულ 600 ნათურიან ჭალს; საერთო ჯამში, ჭალის და მთლიანად თეატრის განათების სისტემას აკლდა დაახლოებით 12 000 ერთეული ბროლის დეტალი. იგივე მონაცემების ბროლი ფონდმა „ქართუმ“ კომპანია „სვაროვსკისაგან“ შეიძინა, მოხდა ამ დეტალების სპეციალური შეკვეთა და დამზადება.

თეატრი სრულად აღიჭურვა ახალი ავეჯითა და კომპიუტერული ტექნიკით; გადაკეთდა ჯანსუღ კახიძის სახელობის სარეპეტიციო დარბაზი (მოეწყო მცირე სცენა და საორკესტრო ადგილი); თეატრს დაემატა ღია ვერანდები და საგამოფენო სივრცე. მსახიობებისთვის გაკეთდა ახალი საგრძობი ობიექტები, ანტრაქტების დროს დასასვენებელი დარბაზი, თანამშრომლებისათვის აშენდა სასადილო; გაფართოვდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა თეატრის მიმდებარე სკვერს.

თეატრი განათების და გახმავანების უახლესი აპარატურით აღიჭურვა. თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენას ახლა ისეთი ტექნიკური შესაძლებლობები აქვს, რომლითაც არაფრით ჩამოუვარდება მსოფლიო დონის საუკეთესო ოპერებს. სარემონტო სამუშაოები ექვსი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. ოპერისა და ბალეტის თეატრის აღდგენა და რესტავრაცია, როგორც ფონდი „ქართუ“ აცხადებს, 40 მილიონ დოლარამდე დაჯდა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივითა და მხარდაჭერით, გერმანულ კომპანიაში „გერიეცი“, სერგო ქობულაძის ესკიზის მიხედვით, თეატრის ფარდა დაიბეჭდა.



„აბესალომ და ეთერი“
ABESALOM AND ETERI

bished and gold-plated; the theatre is now furnished with first-class instruments (including two Steinway concert grand pianos) and the auditorium's chairs for spectators were restored.

The Tbilisi Z. Paliashvili Opera and Ballet Theatre is now equipped with brand new lighting and sound systems, taking its place among the world's top Opera Theatres.

The restoration works took 6 years and according to "Kartu" Fund, cost 40 million US dollars.

By the initiative of the Ministry of Culture and Monument Protection of Georgia, German company "Gerriets" printed the theatre's curtain, based on Sego Kobuladze's sketch.

„გორდა“ Gorda

თუ ჭაბუკიანის „ლაურენსია“ და „ოთელო“ კინოკამერამ აღბეჭდა და შეგვიძლია დღესაც, ათეული წლების შემდეგ, ვიცოდეთ რას წარმოადგენდა ქორეოგრაფის ეს ბალებები, „გორდას“ შესახებ მხოლოდ მწირი ვიდეომასალა შემოგვრჩა. ერთ-ერთი უნიკალური ჩანაწერი გახლავთ ზურაბ კიკაელიშვილის მიერ შესრულებული გორდას ვარიაცია. იგი 50-იან წლებში, „ბოლშოი“ თეატრში გამართული ერთ-ერთი კონცერტის დროს არის გადაღებული. სხვა ყველაფერი ბალეტის შესახებ ჭაბუკიანის და შემდეგი

Video recordings of Chabukiani's *Laurencia* and *Othello* are still kept today, therefore, after decades, we have been familiar with those ballets. However, we possess only short footages of *Gorda*. One of the unique recordings is *Gorda's* variation by Zurab Kikaleishvili, filmed at the Bolshoi Theater in the 1950's. All other details are kept in the memories of Vakhtang Chabukiani and the generations of dancers who followed. Zura Kikaleishvili was the last to restore the ballet at the Tbilisi Opera Theatre in 1995. Yet, some suggest that his version was a redaction that altered



თაობის მოცეკვა-
ვეების მესხიერებას
შემოუნახავს. სულ
ბოლოს ბალეტი
თბილისის ოპერის
თეატრში 1995 წელს
ზურა კიკალიშვილ-
მა აღადგინა. თუმცა
ამბობენ, რომ მასში
ზოგი რამ გადაკე-
თებული და შეკვე-
ცილი იყო. «გორ-
დას“ ამჯერადაც,
მეხუთე აღდგენის
დროსაც, დასჭირ-
და შეკვეცა. ოთხი

ჩატარება მოუხ-
და.

ვახტანგ ჭაბუკიანის
ბალეტის ახალი
რედაქციის წარ-
მოდგენა განახ-
ლებული ოპერის
თეატრში პირველი
საბალეტო პრე-
მიერა გახლდათ.
დავით თორაძის
მუსიკაზე, ორმოქ-
მედებიანი ბალეტის
დადგმიდან 67 წლის
შემდეგ, თეატრში

some parts of the
story. *Gorda* required
editing this time as
well, for the fourth
time. Instead of 4 acts
and 10 pictures, the
new choreographic
version is completed
in two acts and is
more similar to the
original.

The new choreo-
graphic version of
Vakhtang Chabuki-
ani's ballet was



მოქმედების და 10
სურათის ნაცვლად
ახალი რედაქცია
ორი მოქმედები-
საგან შედგება და
როგორც ამბობენ,
ორიგინალთან
უფრო მიახლო-
ებულია. საამისოდ
დამდგმელ ჯგუფს
დიდი სამუშაოს

მისი აღდგენა ნინო
ანანიშვილმა რამ-
დენიმე წლის წინ
ჩაიფიქრა. თუმცა
ძნელია ბოლომდე
იყო ორიგინალური
და თავისუფალი,
როცა საქმე ისეთი
ქორეოგრაფის ნა-
მუშევრის თავიდან
დადგმას ეხება,

the first premiere
performance at the
renovated Tbilisi
Opera and Ballet
Theatre. After 67
years after staging
the two-act ballet
based on Davit To-
radze's score, Nina
Ananiashvili decided
to restore the ballet.
It's difficult to be
creative and free
while staging a piece
by a choreographer
such as Vakhtang
Chabukiani. So, the
choreographic "text",
plot and action de-
velopment remained
unchanged. New ex-
pressive forms have
been applied in this



ირიმა – ნინო სამადაშვილი
IREMA – NINO SAMDASHVILI

როგორც ვახტანგ ჭაბუკიანი იყო. ამიტომ, ბალეტის ქორეოგრაფიულ ტექსტში მნიშვნელოვანი ჩარევა არ მომხდარა. სპექტაკლში ახალი გამომსახველობითი ფორმებია დამატებული. მაგალითად, არწივისა და მიმინოს ორთაბრძოლის სცენის საილუსტრაციოდ ვიდეოანიმაციაა მოშაბებული, რომელიც პროექტორის საშუალებით დეკორაციებზე ნაჩვენებია და სპექტაკლის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ანიმაცია ბალეტის კიდევ რამდენიმე სცენაში გვხვდება.

მაგრამ ბალეტში მთავარი მაინც ქორეოგრაფიაა, მთავარი გმირების მიერ შესრულებული ვარიაციები და დუეტები, სახასიათო ქართული და აღმოსავლური ცეკვები, მიზანსცენები.

საპრემიერო სპექტაკლებზე „გორდას“ ორი შემადგენლობის შესრულება გნახეთ. გორდას როლზე სპეციალურად მოწვეული იგორ იებრა — ბორდოს და რომის ოპერის წამყვანი სოლისტი, შეეცადა ენერგიულად ეცეკვა, თუმ-

ცა ზოგჯერ მოცეკვავებს ეტყობოდა, რომ მისთვის არც თუ ისე ადვილი დასაძლევია აღმოჩნდა ქართული ცეკვის ელემენტები, რომელიც ბევრია გორდას პარტიაში. დავით ანანიშვილის გორდა უფრო გახსნილი, დინამიური და გამომსახველობითი შტრიხებით იყო მდიდარი.

ირემა ნინო სამადაშვილმა და ეკატერინე სურმავამ იცეკვეს. მათ ამ როლის შესრულებისას უკვე გამოარჩევთ საკუთარი ინდივიდუალური ხელწერა და ხასიათის თავისებურება. ირემა ტექნიკურად არაა ძალიან რთული პარტია, თუმცა მასში ბევრია ემოცია, რაც სამსახიობო ოსტატობას მოითხოვს. ახალგაზრდა სოლისტებმა შეძლეს თავისებურად გამოეხატათ ირემას სიხარული და მისი წუხილიც, რასაც ფინალურ სცენაში ბედნიერი დასასრული აქვს.

ბალეტის მთავარი ხაზი ჯავარას როლზე გადის. ქორეოგრაფსაც მისი პარტია მოეძებრებოდა აქვს როგორც სპექტაკლის მთავარი დრამატურგიული ლერძი. ჯავარას

performance though — for example, video animation is used to illustrate the scene of the fight of the eagle and hawk, which is an integral part of the performance. Animation appears in several other ballet scenes, too.

Still, the core of the ballet is the choreography, variations and duets performed by principal characters, typical Georgian and oriental dances, mise-en-scenes.

Two different casts performed *Gorda* at the premiere day. Igor Yebra — principal soloist at Bordeaux Opera and Rome Opera, was specially invited to perform *Gorda's* part. His moves were energetic; however, it was clear that he faced difficulties overcoming the many Georgian dance elements in *Gorda*. David Ananiashvili's *Gorda* was more open, dynamic and expressive.

Irema's part was performed by Nino Samadashvili and Ekaterine Surmava, who have their own distinct characters and individual styles. Irema's part is technically challenging to perform, as it involves demonstration of emotions, which requires artistic talent. The young soloists succeeded to express Irema's joy, as well as sadness.

Javara's part is one of the critical parts in the ballet. The choreographer regards her part as a dramaturgical anchor point of the performance. Javara's variations and duets are challenging in both acts and require an excep-



ვარიაციები და დუეტები ორივე მოქმედებაში საკმაოდ რთულია და განსაკუთრებულ შესრულებას მოითხოვს. ლალი კანდელაკმა ამ როლში კიდევ ერთხელ აჩვენა მისი პროფესიული ოსტატობა. საინტერესოდ შემოგვთავაზა ჯავარას როლის გადაწყვეტა ნუცა ჩეკურაშვილმა.

„გორდას“ დამდგმელი ჯგუფის (დამდგმელი მხატვარი – დავით მონავარდისაშვილი, კოსტიუმების მხატვარი – ანა კალატოზიშვილი, განათების რეჟისორი – კონგშაუგ ჯესტერ გარდე) მიზანს მაყურებლისთვის განახლე-

საინტერესო არ აღმოჩენილიყო. როგორც ნინო ანანიაშვილმა პრემიერის წინ განაცხადა – „გორდას“ აღდგენას თეატრში სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. „გვიჩვენა, რომ თეატრს ახალი

tional performance. Once more, Lali Kandelaki proved her professional talents. Nutsa Chekurashvili proposed an interesting solution to Javara’s role.

The main goal of *Gorda’s* Production



ნინო ანანიაშვილი, ლემსო თორაძე პრემიერის შემდეგ
NINA ANANIASHVILI, LEXO TORADZE
AFTER THE PREMIERE

ბული, ახლებურად დანახული სპექტაკლის დაბრუნება წარმოადგენდა, რადგან ექვსი ათეული წლის წინ დადგმული ბალეტი ზუსტად იმ ფორმით მაყურებლისთვის დღეს შეიძლება

სიცოცხლე ჭაბუკიანის მემკვიდრეობასთან ერთად დაეწყო. ადამიანი, რომელმაც ქართული ბალეტის ისტორია და საუკეთესო ტრადიციები შექმნა ამას ნამდვილად იმსახურებს.“

Team (Production Designer: Davit Monavardisashvili, Costume designer: Ana Kalatozishvili, Lighting Director: Kongshaug Jesper Garde) aimed to present a restored, revived performance,

as a ballet staged six decades ago might not be engaging for today’s audience. As Nina Ananiashvili mentioned prior to the premiere: “Staging Gorda carries a symbolic meaning. We wanted to make

a fresh start and, at the same time, keep Vakhtang Chabukiani’s heritage alive. The person who created Georgian ballet history and established the best traditions really deserves it.“

პრემიერა
Premiere

განახლებული

„გედების ტბა“

NEW PRODUCTION OF

Swan Lake



12 | Arabesque N26

„გედების ტბის“ ყოველი ახალი დადგმა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ორი საუკუნეა საბალეტო თეატრის სიმბოლოდ მიჩნეული ჩაიკოვსკის მუსიკა და პეტიპა-ივანოვის ქორეოგრაფია ბევრჯერ გამბადარა ინტერპრეტაციისა და გადაკეთება – რეკონსტრუქციის საგანი. თუმცა დღემდე ვერავინ მოახერხა ივანოვის თეთრ სცენებსა და პეტიპას შავი გედის პა დე დეზე უფრო გენიალური ქორეოგრაფიის მოფიქრება. ამიტომ, ბალეტის ახალ რედაქციებში უმეტესად სახასიათო ცეკვების და სცენების შეცვლა ხდება, თუ არ გავითვალისწინებთ იმ ქორეოგრაფთა ორიგინალურ დადგმებს, რომლებმაც ამ ბალეტის წაკითხვა სრულიად ორიგინალურად შეძლეს.

თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე, ბოლო ათი წლის მანძილზე, „გედების ტბის“ მეორე, ახალი რედაქციის დადგმა განხორციელდა. წინაც და ახლანდელიც ალექსეი ფადეიჩევი ეკუთვნის. 2005 წლის დადგმაში ქორეოგრაფმა პირველი და ბოლო სურათების კლასიკური ვერსიებისგან განსხვავებული ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა. მოქმედება საბალეტო კლასის დარბაზში იწყებოდა და მთავრდებოდა, ოდეტასა და ზიგფრიდის სიყვარულის ისტორია კი ბალეტის სოლისტი მამაკაცის სიზმრად იყო წარმოდგენილი.

ახალ რედაქციაში, რომლის პრემიერა 11 მარტს შედგა, ფადეიჩევიმ გადაწყვიტა თბრობის სწორედ ეს ფორმა შეეცვალა. ბალეტი სამეფო სასახლის ბაღში იწყება, სადაც პრინცის სრულწლოვანებას აღნიშნავენ; ხოლო ისტორია მთავრდება ტბის პირას, სადაც ბოროტი ჯადოქრის მიერ მოჯადოებული ოდეტა ისევ მშვენიერ ქალწულად გადაიქცევა. „სიყვარული



ოდეტა – ნინო სამადაშვილი,
პრინცი ზიგფრიდი – ფილიპ ფედულოვი
ODETTE – NINO SAMADASHVILI,
PRINCE SIEGFRIED – PHILIP FEDULOV

Each new production of *Swan Lake* is exceptionally attention-grabbing. Regarded as a symbol of Ballet Art for two centuries, Tchaikovsky's music and Petipa-Ivanov's choreography are commonly considered as subject to different interpretation and modernization. Yet, nobody came up with more brilliant choreography than Ivanov's white scenes and Petipa's Black Swan pas de deux. Therefore, new choreographic versions mostly revise character dances and ballet scenes, not taking into account the innovative productions of choreographers who read the ballet in a completely original way.

In the last ten years, the Tbilisi Opera and Ballet Theatre presented two new choreographic versions of *Swan Lake*. Both productions belong to Alexei Fadeychev. In 2005, the choreographer introduced a different interpretation of the first and the last scenes. The action started and finished in the ballet class, Siegfried and Odette's love story was presented as a dream of the principal male dancer.

Fadeychev decided to change the form of the narrative in the new edition, premiered on



March 11, 2016. The ballet begins in the garden of the royal palace, where the prince's coming to age is celebrated; and the story ends by the lakeshore, where beautiful Odette, enchanted by the evil sorcerer, turns into a girl again. "Love wins" – is the ending of the libretto.

At the premiere, Odette's and Odile's roles were performed by two young soloists. Such division of roles is part of the old tradition of the Imperial Ballet Theatre. Nowadays, the Odette–Odile parts are performed by the same ballerina. And here is the interesting intrigue – the metamorphosis of a ballerina presenting two contrasting characters. The decision was made by the Ballet Company not due to inclination towards old traditions, but considering the skills of young soloists.

Odette–Odile is dream role for every ballerina and in the meantime, the best opportunity to present their technical and artistic capabilities. Despite the fact that it was not a debut performance neither for Ekaterine Surmava, nor for Nino Samadashvili, their tension was noticeable. Ekaterine Surmava (Odette) with her gorgeous moves and tender nature tries

იმარჯვებს“ – ასეთი ფინალი აქვს სპექტაკლის ლიბრეტოს, „გედების ტბის“ უმეტესი რედაქციების მსგავსად.

ოდეტა – ეკატერინე სურმავა,
პრინცი მიხეილ –
ფრანკ ვან ტონგერენ
ODETTE – EKATERINE SURMAVA,
PRINCE SIEGFRIED –
FRANK VAN TONGEREN

საპრემიერო სპექტაკლზე ოდეტასა და ოდილიას პარტია დასის ორმა ახალგაზრდა სოლისტმა იცეკვა. მთავარი პარტიების ასეთი გაყოფა ძველი საიმპერატორო საბალეტო თეატრის ტრადიციაა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და ოდეტასაც და ოდილიასაც დღემდე ერთიდაიგივე პრიმა-ბალერინა ცეკვავს. საინტერესო ინტრიგაც სწორედ ამაშია – როგორ მოახერხებს ბალერინა ორი სრულიად განსხვავებული სახის წარმოჩენას და გარდასახვას. საბალეტო დასში კი ეს გადაწყვეტილება არა ძველ საბალეტო ტრადიციებთან დაბრუნების სურვილით, არამედ ახალგაზრდა სოლისტების შესაძლებლობათა გათვალისწინებით მიიღეს.

ოდეტა–ოდილიას პარტია ნებისმიერი ბალერინასათვის ოცნების როლია და ამავდროულად საუკეთესო საშუალებაა მათი ტექნიკური და სამსახიობო შესაძლებლობების გამოსავლენად. მართალია ეკატერინე სურმავასა და ნინო სამადაშვილისთვის „გედების ტბაში“ გამოსვლა არ ყოფილა სადებიუტო, მათ მაინც ეტყობოდათ რომ შინაგანად ლელავდნენ. ეკატერინე სურმავა (ოდეტა) ლამაზი ფაქტურითა და ხელების მშვენიერი მიმოხვრით ცდილობდა პრინცისთვის (ფრენკ ვან ტონგერენი) მოეთხრო საკუთარი ტრაგიკული ბედის შესახებ. ნინო სამადაშვილი (ოდელია) კი შეეცადა ენერგიული ყოფილიყო. თუმცა ბალერინამ მეორე დღეს, შემდეგ საპრემიერო სპექტაკლზე, ოდეტა–

ნინო მახაშვილი,
ჰონ აბენანტი,
ფრანკ ვან ტონგერენი,
ლანა მგებრიშვილი
NINO MAKHASHVILI,
JOHN ABENANTY,
FRANK VAN TONGEREN,
LANA MGEBRISHVILI



ოდილის პარტია მთლიანად იცეკვა და ტექნიკურად უფრო გამართულად.

ბალეტის ახალ რედაქციაში მრავლადაა სახასიათო ცეკვები და კლასიკური ვარიაციები. პირველი მოქმედების ცნობილი პადეტრუა გადაკეთებულია ოთხი მოცეკვავისთვის, რომელშიც პრინცი ზიგფრიდიც მონაწილეობს. პრინცის ქორეოგრაფიული ტექსტი ზოგადად გაზრდილია. დამატებულია ახალი პერსონაჟები, ნადირობის სცენაში ზიგფრიდს მეგობრებთან ერთად უწევს გამოსვლა. თითქმის უცვლელია ბოროტი ჯადოქრის – როტბარტის პარტია.

ამ ბალეტის გარეშე წარმოუდგენელია აკადემიური საბალეტო დასი. ამიტომ გახდა აუცილებელი „გედების ტბის“ ახალი რედაქციის დადგმა, რადგან მას ყოველთვის ჰყავს მაცურებელი.



to tell her tragic story to the Prince (Frank van Tongeren). Nino Samadashvili (Odile) strived to be energetic. On the following day, the ballerina performed both Odette and Odile in a technically flawless way.

როტბარტი –
დავით ანანელი
ROTHBART –
DAVIT ANANELI

The new choreographic version includes many characteristic dances and classical variations. The famous pas de trois in first act is restructured for four dancers, where Prince Siegfried participates as well. In this manner, the choreographic text for the Prince is increased. New characters are added, Prince Siegfried comes together with friends in the hunting scene. Rothbart, the evil sorcerer's dances are almost unchanged.

The Academic Ballet Company is unimaginable without this ballet. For this reason, it became crucial to stage a revised choreographic version of *Swan Lake*, as it always has its spectators.



ბადაფრენა

„ფასკუნჯის“
ბუღმზი

FLIGHT OVER THE NEST OF

the “Firebird”

ვლადიმერ სარიშვილი

By Vladimir Sarishvili



„ამიერიდან ამ ზღაპრის ნახვა თბილისშიც შეგეძლება“ – თქვა სტრავინსკი-ფოკინი-გოლოვინი/ბაკსტის „ფასკუნჯის“ გენერალური რეპეტიციის წინ, ბლიც-პრესკონფერენციაზე, სახელგანთქმულმა მოცეკვავემ ანდრის ლიეპამ, რომელსაც ამ სპექტაკლის რეკონსტრუქცია ეკუთვნის. პრემიერამდე რამდენიმე დღით ადრე ნინო ანანიაშვილის პრეს-მდივანთან, თამარ მოდებაძესთან, ერთად რუსეთის სახალხო არტისტს ანდრის ლიეპას შევხვდით. საუბარი ნახევრად ჩაბნელებულ დარბაზში, კაშჩეის სამეფოს დეკორაციის მკრთალი განათების ფონზე, იწერებოდა.

"Now, in Tbilisi, the tale will come true" – said Andris Liepa in a bliss at a press conference just minutes before the dress rehearsal for The Firebird by Stravinsky-Fokine-Golovin/Bakst. Andris Liepa, the renowned dancer reconstructed the ballet. A couple of days before the premiere, Mrs. Tamar Modebadze, press secretary of Nina Ananiashvili, and I had a meeting with Andris Liepa, People's Artist of Russia. The interview was recorded in the half-light of the hall, with a little glow from decorations of Kashchei's kingdom.



ანდრის, წარმოუდგენელია, რომ „ფასკუნჯი“ საქართველოში თქვენი პირადი განწყობიდან გამომდინარე არ ჩამოგეტანათ. თქვენთან შეხვედრამდე გადავხედე ფილმ-ბალეტს „ფასკუნჯის დაბრუნება“... დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

რა თქმა უნდა თბილისში ეს პროექტი შემთხვევით არ ჩამომიტანია. ნინომ შექმნა ფასკუნჯის საეტაპო სახე, ისევე, როგორც გალინა ულანოვამ საეტაპო ჯულიეტა ან მარიო დელ მონაკომ ოტელო ვერდის ოპერაში.

„სპექტაკლის რეკონსტრუქცია“ თქვენთვის მისი რეანიმაციაა თუ ვთქვათ, რესტავრაცია?

უფრო ზუსტად ნაზავი. თუმცა არა მოდერნიზაცია. მიხაილ ფოკინის კონცეფცია სცენაზე მისი ორიგინალურ ვერსიით არის წარმოდგენილი. ეს მისი „ფასკუნჯია“, რომელმაც ერთი საუკუნის წინ, პარიზის პუბლიკა აღაფრთოვანა.

დღეს მიღებული სიტყვებით რომ ვთქვათ, ბალეტის ისტორიაში ეს იყო სრულიად ახლებური მოვლენა. ვუყურებ სპექტაკლს და თითქოს იმ ეპოქაში თანაცხოვრების უცნაური შეგრძნება მეუფლება – სცენაზე ხომ ალექსანდრ გოლოვინისა და ლეონ ბაკსტის დეკორაციებია. მათში ასახულია მხატვართა გაერთიანების „მირისკუსტვას“ შემოქმედებითი კონცეფცია, რომელთათვისაც უპირატესი იყო პიროვნულ-ესთეტიკური საწყისები ფერწერასა და გრაფიკაში.

მართალი ბრძანდებით, ეს დეკორაციები ალექსანდრ გოლოვინმა „გრანდ ოპერის“ პრემიერისთვის შექმნა და თავიდან ბოლომდე ეს საბალეტო შედეგები „რუსული სემონების“ შვილობილია, რისი სულის ჩამდგმელიც სერგეი დიაგილევი გახლდათ. „ფასკუნჯმა“ აღაფრთოვანა ევროპის სახელოვნებო წრეები, მოგვიანებით კი მთელი მსოფლიო.

მიხაილ ფოკინი ხომ ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც რეალობად

Andris, it's unlikely that you have brought "Firebird" in Tbilisi regardless of personal preferences. I have reviewed the video recording of the ballet "The Return of the Firebird" before meeting with you... I was truly impressed...

Of course, I didn't bring this project to Tbilisi just accidentally. Nina created an immortal character of the Firebird, as Galina Ulanova did in Juliet's role, or Mario del Monaco as Othello in the opera by Giuseppe Verdi.

"Reconstruction of the play" in your understanding is a "reanimation"? Or, maybe – "restoration"?

It's a combination of both. But not modernization. Mikhail Fokine's concept is transferred to the stage in full accordance with his idea, his interpretation, which literally "blew up" the admiring Parisian public more than a century ago...

Saying in today's fashionable language, it was a system-creating phenomenon in the history of ballet. I feel a strange sense of being part of that distant era – in fact, the stage is decorated with scenography by Alexander Golovin and Leon Bakst... And they displayed a creative concept of the artists' association "World of Art", which found the priority and origin of the personal aesthetic in painting and drawing.

That's right; these decorations were created by Alexander Golovin for the premiere in "Grand Opera" Paris.

And the Ballet Enterprise – the brainchild of "Russian Seasons"; the soul, the brain and the "engine" of a great cultural figure, Sergei Diaghilev, admired by the artistic world of Europe, and shortly by the other side of the Atlantic, too...

Mikhail Fokine was in fact one of the first who implemented the ideas expressed in the 18th century by Jean-Georges Noverre, and created a trinity of dance, music and visual arts...

აქცია იდებები, რომლებიც ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში ჟან ნოვერს გაუჩნდა. უფრო ზუსტად კი შექმნა ტრიო: ცეკვა, მუსიკა და გამოყენებითი ხელოვნება. „სახელოვნებო სამყაროს წევრების“ ესთეტიკაზე დაყრდნობით ფოკინმა მრავალსაათიანი, რთული, მძიმე დადგმების საპირწონედ დააყენა ერთმოქმედებიანი, მოკლე, „იმპრესიონისტული“ ბალეტები, რომელთა რიცხვშიც პოპულარობით სარგებლობდა გახმაურებული სამეული: „ფასკუნჯი“, „პეტრუშკა“ და „შეპერებადა“.

ფოკინმა პირველმა შეძლო გამოეხატა ყველა მნიშვნელოვანი პერსონაჟის ინდივიდუალობა, განსაკუთრებული პლასტიკის ენით, რომელიც თავად მოუგონა ქორეოგრაფიული მოქმედების გმირებს. ასე „მექანიკური თოჯინების“ ნაცვლად სცენაზე გაჩნდა იდუმალი ფასკუნჯის, ტრაგიკული „პეტრუშკას“ ცოცხალი სახეები და სიყვარულის თემამ „შეპერებადაში“ განსაკუთრებული ჟღერადობა შეიძინა... ამასთანავე, ზუსტად ფოკინმა ძირეულად შეცვალა შეხედულება მამაკაცის ცეკვაზე, რომელმაც შეწყვიტა მხოლოდ პარტნიორის როლში ყოფნა, შეიძინა ჰეროიკულ-დრამატული დამოუკიდებლობა – მაგალითად ნიჟინსკიდან ტაბუკიანამდე, ბარიშნიკოვამდე, ნურიევამდე, მარის და ანდრის ლიეპამდე...

ჩვენამდე მოაღწია თანამედროვეების მოგონებებმა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ფოკინს არ სიამოვნებდა, რომ „რუსული სემონების“ წარმატებას ნელ-ნელა უფრო და უფრო რომ უკავშირებდნენ დიაგილევის სახელს, მისმა დამსახურებებმა კი თითქოს მეორე პლანზე გადაიწია ... მიხაილ ფოკინი, ისევე როგორც თითქმის ყველა ნამდვილი მხატვარი, ცხოვრების მანძილზე არა ერთხელ შეეჯახა უსამართლობას, ინტრიგებს, ბოროტ კრიტიკასა და გაუგებრობას... იყო დრო როცა მისი არ ესმოდათ, თუმცა ყველა განსაცდელისგან გამარჯვებული გამოვიდა.

ეს სიმართლეა, თუმცა ეს არ ეხება იმ დროს, როდესაც ფოკინი „ფასკუნჯზე“ მუშაობდა – ეს დიაგილევის, ფოკინის და





ალექსანდრ ბენუას (გაერთიანება „მირ ისკუსტვას“ მხატვარისა და მთავარი იდეოლოგის) ურთიერთობის ოქროს ხანა იყო. თუმცა ფოკინი მართლაც იმ მხატვართა კატეგორიას მიეკუთვნებოდა, რომლებიც დინების საპირისპიროდ ცურავდნენ. ასე ჰქვია მის წიგნსაც, რომელიც ჩემთვის ერთგვარი შემოქმედებითი ინსპირაციის წყარო გახდა. მასში ჩემს სულთან მონათესავე ციტატებია: „ყველაზე მშვიდი, ყველაზე მომგებიანი ხელოვნების სფეროში სამუშაოდ არის დინების მიმართულებით ცურვა, თუ კი გინდა საკუთარი გზით მიხვიდე მიზნამდე, თუ მზად ხარ საბრძოლველად და სატანჯველად... ნუ მოელოდ კარგ ამინდს და თამამად გაეშურე დინების საწინააღმდეგოდ.“ ფოკინისეული ეს განწყობა შევეცადე არ დამეკარგა ერთმომედებიანი ბალეტების რეკონსტრუქციისას.

შემორჩენილია ბევდური წყაროები, რომლებიც მოგვითხრობენ რომ დეკორაციები, რომელსაც ახლა სპექტაკლში ხედვით, აიღეს და დაწვეს...

მტრებმა? ინტერვენტებმა?

არა, ყველაფერი უფრო მარტივადაა. პარიზის ძალიან წარმატებული პრემიერის შემდეგ დიაგილევის დასი, რომელშიც ბრწყინავდნენ მსოფლიო დონის ვარსკვლავები – ანა პავლოვა, თამარა კარსავინა, ვაცლავ ნიჟინსკი და სხვები ევროპის სხვა-

Based on the aesthetics of the "World of Artists", Fokine contrasted heavyweight long staging to short one-act "impressionist" ballet productions, *The Firebird*, *Petrushka* and *Scheherazade* among them.

Fokine was the first to identify the uniqueness of each significant character through a special plastic language, invented for the heroes of the action choreography. So, instead of just "mechanical dolls", live images of the mysterious Firebird and tragic Petrushka appeared on the stage; the motive of love at the cost of life has gained special significance in Scheherazade.

... In addition, Fokine fundamentally changed the interpretation of men's dance – it was no longer assistive and gained heroic and dramatic independence – from Nijinsky to Chabukiani, Baryshnikov, Nureyev, Maris and Andris Liepa...

Contemporaries claimed: Fokine was vulnerable towards the fact that the success of the "Russian Seasons" became attributed more and more to Diaghilev and his merits were underestimated... Mikhail Fokine, like almost every true artist, has passed through the unfair vicious criticism, intrigue and misunderstanding... and yet remained victorious.

დასხვა დედაქალაქში მიიწვიეს, რომელთა სცენები ამ დეკორაციებს ვერ იტევდნენ. დეკორაციების ახალი ვერსია შეუკვეთეს ნატალია გონჩაროვას, გოლოვინისა და ბაკსტის დეკორაცია კი განადგურებულ იქნა. ძალიან დრამატული ეპიზოდია – თუმცა, ანატოლი ნეჟნისთან ერთად, სადღაც ტრეტიაკოვის გალერეის საწყობში აღმოვაჩინე ესკიზი, რომლის მიხედვით აღვადგინეთ ისინი.

ფერწერის ისტორიაში არ მოიპოვება ნატალია გონჩაროვაზე მეტად ფასეული მხატვარი ქალი. ყველაზე პრესტიჟულ აუქციონებზე, თუ არ ვცდები, მისი ნამუშევრები 5-დან 10 მილიონ დოლარად იყიდება. მაგრამ იმ წლებში, როგორც თავად ქორეოგრაფი წერდა, მან „ფასკუნჯს“ თავისი დეკორაციებით სასიკვდილო დარტყმა მიაყენა. გონჩაროვას დეკორაციების მიხედვით სპექტაკლიდან უმნიშვნელოვანესი ეპიზოდები გაქრა – კაშიეის სამეფო, ფასკუნჯის გადაფრენა, რაინდების გაცოცხლების სცენა.

ცალკე ისტორიაა მუსიკასთან დაკავშირებით, რომელიც გაუაზრებლად დაუკვეთეს სახელგანთქმულ კომპოზიტორს ანტოლი ლიადოვს. 3-4 თვის შემდეგ დიაგილევი პეტერბურგში შეხვდა ნელი ნაბიჯებით მოსეირნე ლიადოვს, რომელმაც დამკვეთს „ახარა“, რომ უკვე შეუდგა მუშაობას. დიაგილევისთვის თითქოს ცა გაიხსნა, როცა მოუყვინნ ახალგაზრდა

This is the golden period of the relationship between Diaghilev, Fokine and Alexandre Benois, the artist and the main ideologist of "World of Art".

Nonetheless, Fokine really was one of those artists who went against the mainstream, and his book has become for me a kind of creative tool. Several lines are so close to the spirit of mine: "The most peaceful, the most favorable in the field of art is to follow the flow. But if ... you want to reach the goal by your own means, if you are ready for the struggle and suffering... do not count on a promising weather – bravely row against the flow!". I tried to preserve Fokine's attitude in my reconstructions of his one-act ballets.

Printed sources that survived report that the scenography, which we now see, had been burnt...

Competitors? Intruders?

No, it's more simple. After the tremendous success of Diaghilev's troupe in Paris, Anna Pavlova, Tamara Karsavina, Vaslav Nijinsky suddenly turned into worldwide stars, invited to various European capitals, and the scenography elements did not fit on their stages. The new version of the scenography was created by Natalia Goncharova, and the masterpiece by Alexander Golovin and Leon Bakst was destroyed.



ნიჭიერი მუსიკოსის იგორ სტრავინსკის შესახებ, რომლის თაობაზეც ადრეც ჰქონდა გავიწყობილი. ახალგაზრდა, რომელმაც მუსიკალური წრეები ალაპარაკა, ნიკოლაი რიმსკი-კორსაკოვის მოწაფე იყო, რაც თავისთავად გამოდგებოდა იდეალურ რეკომენდაციად. ბევრი ფიქრის გარეშე დიაგილევი პუბლიკისთვის უცნობ სტრავინსკის შეხვდა და სასწრაფოდ გამგზავრა შვეიცარიაში, სადაც ფოკინი ისვენებდა. მათი თანამშრომლობის შესახებ საინტერესო ცნობებია შემონახული. ვინაიდან სასტუმროში არ მოიპოვებოდა როიალი, პარტიტურა პიანინოზე იქმნებოდა. ფოკინი დაულაღვად აჩვენებდა საკუთარ ქორეოგრაფიულ კომბინაციებს – ხან პიანინოს სახურავზე აძვრებოდა, ხან იქედან გადმოხტებოდა, წაიმღერებდა, სხვადასხვა მოძრაობებს აკეთებდა, სტრავინსკი კი ჰაერში იჭერდა მის ჩანაფიქრებს და მათ მუსიკალურ ფორმას აძლევდა.

არ გჩვენებთ, რომ ფოკინის დადგმების „ერთი-ერთში“ რეკონსტრუქცია თავისებური ანაქრონიზმი იქნებოდა? სად წაუხვალ ტექნიკის ინოვაციებს.

ელექტრონით განათებული პირველი თეატრები პარიზში მხოლოდ 1913 წელს გაჩნდა. „რუსული სემონების“ პრემიერებზე კი სცენა გაზის გამანათებლებით ნათდებოდა. შესაბამისად, რა თქმა უნდა, განათების მხრივ ყველაფერი შეიცვალა. თუმცა ამან მხოლოდ გამძლიდრა და არავითარ შემთხვევაში არ შელახა ფოკინის კონცეფცია და დადგმა.

როგორი იყო ქართველ მოცეკვავეებთან და ორკესტრთან მუშაობა?

ორკესტრმა არაჩვეულებრივად გაართვა თავი სამუშაოს. აქ გარკვეული სირთულეა, რადგან სტრავინსკი სულაც არ არის „საბალეტო“ კომპოზიტორი. ეს არ არის სიცოცხლის მოყვარული ლუდვიგ მინკუსი – ჩემთვის პატივსაცემი, ბრწყინვალედ მელოდიური, თუმცა სიმფონიური განვითარების არ მქონე პარტიტურის – „დონ კიხოტის“ ავტორი. ეს სხვა ჟანრი იყო და სრულიად სხვა გამოწვევების წინაშე იდგნენ. მერწმუნეთ არ ვსაუბრობ აგდე-

But artist Anatoly Nezhy and I discovered a sketch somewhere in the basement of the Tretyakov Gallery and restored these decorations according to them.

In the history of painting there was no female artist "more expensive" than Natalia Goncharova. The most prestigious auctions sold her works for \$ 10 million – some a little more, the other a little less than 5 million. But in those years, she "stroked the heart of the "Firebird" with its scenography," as the great choreographer wrote himself. Goncharova's decorations were missing the most important episodes from the play, though – Kashchei's kingdom, flight of the Firebird, scene of revival of the heroes – unbelievable!

I was lucky. Jackson – I have long-distance love of this place. In 1986, I was a winner, and 28 years later I went there as judge. Some of the same people were still there, and they see me and they say, “What we can do to have you back here?” They invited my company to perform a whole evening in Jackson this summer. I am so happy.

What do you think is good about competitions?



ნინო ანანიაშვილი და ანდრის ლიეპა. ჯეკსონი. ANDRIS LIEPA AND NINA ANANIASHVILI. JACKSON. 1986

რას მიიჩნევთ საბალეტო კონკურსების პოზიტიურ მხარედ?

დღევანდელი კონკურსები განსხვავდება ჩემი დროის კონკურსებისგან. დიდი ხნის მანძილზე ვამბობდი, რომ არ მინდა უიურის წევრობა, რადგან, მასხვს როგორი რთული იყო შეჯიბრი. დღეს ყველგან ტარდება კონკურსი. კარგი მხარე არის ის, რომ არსებობს ბევრი კერძო სკოლა და სტუდია, რომელთა მოსწავლეები ადრე ვერ ამუღავნებდნენ თავიანთ ტალანტს. ბევრი ასეთი სკოლა ძალიან კარგია, ხანდახან დიდ აკადემიებზე უკეთესი. კონკურსები აძლევს ბავშვს შესაძლებლობას გამოვიდნენ მაყურებლის წინაშე. ეს კარგია ზოგადად ბალეტისთვის, რადგან ზრდის პროფესიონალ მაყურებელს. თუ ისინი პროფესიონალ მოცეკვავეებად არ გაიზრდებიან, ბალეტი ყოველთვის ეყვარებათ.

კონკურსების უარყოფით მხარედ რას მიიჩნევთ?

ისინი ძალიან პატარა ასაკში იწვევენ ბავშვებს, რაც მათ სირთულეებს უქმნის მომავალში. ზოგჯერ, ათი წლის ბავშვები უშიშრად გამოდიან კონკურსზე და ოქროს მედალს, გრან-პრის იღებენ, თუმცა 16-18 წლის ასაკში აღარავის სჭირდებათ. მათ მრავალი ჯილდო შეიძლება ჰქონდეთ, მაგრამ არავინ სთავაზობს სამსახურს, რადგან არ მოსწონთ მათი სიმაღლე ან ფორმა; ეს რთულია ბავშვისთვის. ისინი ფიქრობენ: „თუ ასეთი წარმატებული ვარ, რატომ მექმნება სირთულეები სამსახურის პოვნაში?“

რა სიახლეები გაქვთ დასში?

ჩვენ გავხსენით სემონი ჭაბუკიანის ბალეტით „გორდა“ (1949). ეს ცნობილი ბალეტი იყო, ქართული ისტორიით. ახალი ქორეოგრაფიული ვერსია მე დავდგი, ვეცადე ჩამერთო სპექტაკლში პროექცია და უფრო მეტად გამომეყენებინა განათება. ჩვენ ასევე გვაქვს „გედების ტბის“ ახალი დადგმა, რომელიც ალექსეი ფადეიჩევის ეკუთვნის. მართლაც ძალიან ლამაზია. პრემიერაზე სრული ანშლაგი იყო. ვაჩვენებთ ფოკინის პროგრამა: ანდრისმა დადგა „ფასკუნჯი“ და მე – „შოპენიანა“ და „ვარდის აჩრდი-

Today's competition, it's different than our time. For a long time I would always say I don't want to judge because I remember how hard it was to compete. Today, everywhere competitions. The good thing is, first we have a lot of private schools and studios that before, didn't have the possibility to show off the students. And lots of them are really good – sometimes better than in the big academies. Second, we on the jury are lots of directors. Either they have possibility to come work in another theater or somebody will give scholarship. Also, when they have just private school training, they cannot perform in a theater for an audience. In Moscow we had small theater and children perform on Bolshoi stage sometimes. In private schools, it's impossible now because it's so expensive. The competitions give possibility to children to perform for an audience. Also, it is better for ballet generally, because it raises professional audience later. These kids, if they don't become professional, they will always love ballet because they learned it as children.

Is there a downside to competitions?

They take children very young, and this can be difficult for children later. Sometimes kids 10 years old, they are not afraid of anything and they get medals at Grand Prix, and suddenly at 16 or 18 years old, nobody needs them. They get lots of medals, but nobody give them a job because either they don't want this size or height or form, and this is difficult for children, They think, "If I'm so good then why I have problem to get job?"

What's the latest news with your company?

We opened the season with myself onstage in a Chabukiansi ballet *Gorda* (1950). It was famous ballet with a Georgian story. I'm restaging, everything new, I tried to work with projections and lighting. We also have a new *Swan Lake* by Alexei Fadaychev, really beautiful. It was absolutely sold out. We have Fokine program: Andris staged *Firebird* and I staged *Les Sylphides* and *Le Spectre de la Rose*. We will soon start rehearsals for company premieres by Kylián and Balanchine.

ლი“. მალე წარმოვადგენთ კილიანის და ბალანჩინის პროგრამებს.

როგორც ბალერინა და ახლა როგორც სამხატვრო ხელმძღვანელი როგორ აღიქვამთ ცვლილებებს ბალეტში?

აღრე, თითოეულ დასს ჰქონდა თავისი სტილი: დანიელებს – დანიური, რუსებს – რუსული, ნიუ იორკ სითი ბალეს – თავისი. ABT იყო კომბინაცია. ახლა ადამიანებს შეუძლიათ მოგზაურობა. მე ვხედავ კონკურსებზე და სოციალურ ქსელებში 15 წლის გოგონებს, რომლებიც ტექნიკურად ძალიან რთულ და არაჩვეულებრივ მოძრაობებს ასრულებენ, მაგრამ მყურებელი აღარ გამოხატავს ემოციებს და აღარ არის აღტაცებული მათი ხელოვნებით, რადგან ისინი არ ცხოვრობენ როლში. მყურებელმა უნდა ისიამოვნოს წარმოდგენით და არა მხოლოდ „ტრიუკებით“.

ახლა, დასის განრიგში ძალიან ცოტა დრო რჩება როლზე მუშაობისთვის.

ეს ასევე პრობლემაა. ყველაფერი გახდა მექანიკური. ჩვენ გვჭირდება დრო რომ გამოვცოცხლდეთ, გეკვა ძალიან რთულია. ყოველთვის მინდა, რომ დიდი წარმოდგენის წინ მქონდეს ერთი თავისუფალი დღე დასვენებისთვის – არა ფიზიკურად, არამედ შინაგანად დასვენებისთვის.

რა რჩევას მისცემდით კომპლევსს საერთაშორისო კონკურსის მსგავსი კონკურსების ახალგაზრდა მონაწილეებს?

როდესაც მე კონკურსებზე გამოვდიოდი ჩემი პედაგოგი მეუბნებოდა: „მე არ მჭირდება შენი მედლები. უბრალოდ გამოდი და ანახე შენი შესაძლებლობის მაქსიმუმი“. ამიტომ მათ ვეტყვი – უბრალოდ, ისიამოვნეთ სცენაზე ყოფნით, არაჩვეულებრივ მყურებელთან ერთად. მშვენიერია თუ კარგი შედეგი გაქვთ. თუ არა, ნუ იდარდებთ. უბრალოდ, გიყვარდეთ ეს ლამაზი ხელოვნება. იყავით თვითკრიტიკულები. დახვეწილები რომ გახდეთ ამისთვის საკუთარი თავი უნდა დაინახოთ, უნდა შეგეძლოთ იუმორით შეხედოთ თქვენს საქმეს. ბალეტი რთული ხელოვნებაა, იუმორი უნდა გაგაჩნდეთ, რომ ამ ხელოვნებაში თავი იგრძნოთ.



During your time as a ballerina and now as artistic director, how have you seen ballet change?

Before, each company had their own style: Denmark is Denmark; Russian is Russian, New York City Ballet was City Ballet. ABT was most combination. Now people are free to travel around. But today, what I see in competitions and Facebook, for example girls turning 15 turns. They're doing something technically strong and amazing, but not a lot of people are expressive with emotion and with art. They don't really live in the roles. The audience should enjoy performance, not just tricks.

Now there is so little time in company schedules to work deeply on a role.

This is also a problem. Everything becomes mechanical. We need time to recover, it's so difficult to dance. I always love to have at least one day off if I do one big performance, I am tired – not technically, but tired in my insides.

What advice would you give young dancers participating in a competition like VKIBC?

When I was competing, my teacher told me, "I don't need your medals. Just come out and dance as best you can do." Just enjoy to be onstage with this wonderful public. If you have good results, wonderful. If not, don't worry. Just love this beautiful art. Also be willing to criticize yourself. You need to see yourself in order to improve. And you need to have a little bit of humor in our job. Ballet is so difficult, you need to have humor to stay in it.

ნინო ანანიაშვილი
ვალენტინა კოზლოვას
საერთაშორისო კონკურსის
სპირიტის მფრთხილან და
ორგანიზატორებთან.
2016. ნიუ-იორკი
NINA ANANIASHVILI WITH
VALENTINA KOZLOVA
INTERNATIONAL COMPETITION
JURY MEMBERS AND
ORGANIZERS.
2016. NEW YORK

ნინო ანანიაშვილი ბალეტის ვარსკვლავებთან ერთად

– ამ სახელწოდების გალა-კონცერტი გაიმართა 19 თებერვალს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში. საღამო ნინო ანანიაშვილმა საკუთარი პედაგოგის რაისა სტრუჩკოვა-ლაფაურის ხსოვნას მიუძღვნა. გალა-კონცერტის „ნინო ანანიაშვილი, ბალეტის ვარსკვლავები და საქართველოს სახელმწიფო ბალეტი“ პროგრამაში წარმოდგენილი იქნა ერთმოქმედებიანი საბალეტო დადგმები – „ლეა“ (ლეონარდ ბერნსტაინის მუსიკა, ალექსეი რატმანსკის ქორეოგრაფია) და „სა-გალობელი“ (იური პოსხოხოვის ქორეოგრაფია). ნინო ანანიაშვილს, რომელმაც ლეას პარტია იცეკვა ალექსეი რატმანსკის მიერ მისთვის სპეციალურად დადგმულ ბალეტში, პარტნიორობას დიდი თეატრის სოლისტი ალექსანდრ ვოლჩკოვი უწევდა. ვოლჩკოვი თბილისელი მაყურებლის წინაშე პირველად არ გამოსულა. 2002 წელს მან თბილისში იცეკვა ზიგფრიდის პარტია „გედების ტბაში“ და პრინცის პარტია „მაკნატუნაში“. გალა-კონცერტში დიდი თეატრის კიდევ რამდენიმე ცნობილი მოცეკვავე – მარიანა რიჟკინა, ანასტასია გარიაჩევა, დიმიტრი გუდანოვი და კლიმ ეფიმოვი მონაწილეობდნენ, რომლებმაც საბალეტო დივერტისმენტში სხვადასხვა დუეტები შეასრულეს კლასიკური საბალეტო რეპერტუარიდან. დივერტისმენტში საბალეტო დასის სოლისტებმა – ეკატერინე სურმაჯამ, ნინო სამადაშვილმა, ნუსეა ჩეკურაშვილმა, ფილიპ ფედულოვმა, იონენ ტაკანომ, დავით ანანიშვილმა მიიღეს მონაწილეობა. გალა-კონცერტს კახი სოლომნიშვილი დირიჟორობდა.

ნინო ანანიაშვილი,
ალექსანდრ
ვოლჩკოვი, ლია
NINA ANANIASHVILI,
ALEXANDER VOLCHKOV,
LEAH



NINA ANANIASHVILI AND BALLET STARS IN TBILISI

A gala concert titled “Nina Ananiashvili and Ballet Stars” was held on February 19 at the Tbilisi Opera and Ballet Theatre. Nina Ananiashvili dedicated the evening to the memory of her tutor, Raisa Struchkova-Lafauer. “Nina Ananiashvili, Ballet Stars and State Ballet of Georgia” covered two one-act ballets – *Leah* (Music by Leonard Bernstein, choreography by Alexei Ratmansky) and *Sagalobeli* (choreography by Yuri Possokhov). Nina Ananiashvili, who performed Leah in Alexei Ratmansky’s ballet created personally for her, was accompanied by soloist of the Moscow Bolshoi Theatre, Alexander Volchkov. It was not Volchkov’s first time in Georgia. In 2002, he performed Siegfried’s part in *Swan Lake* and the Prince in *The Nutcracker*. Other participants of the evening were Bolshoi dancers Mariana Rizhkina, Anastasia Gariacheva, Dimitriy Gudanov and Klim Efimov, who performed ballet divertissements and duets from the classical ballet repertoire. The Georgian Ballet company’s soloists Ekaterine Surmava, Nino Samadashvili, Nutsa Chekurashvili, Philip Fedulov, Yonen Takano and David Ananiashvili participated in ballet divertissements. The Orchestra at the gala concert was conducted by Kakhi Solomnishvili.



გამოფენის გახსნა
EXHIBITION OPENING

გამოფენა „გორდას“ პრემიერის წინ

„გორდას“ პირველი სპექტაკლის საპრემიერო აფიშა, ესკიზები, უნიკალური ფოტოები და პროგრამები, ბალეტის პარტიურის ავტორაფი, ბალეტის სხვადასხვა თაობის შემსრულებელთა ფოტოები – ამ მნიშვნელოვან საარქივო მასალას გამოფენის ორგანიზატორებმა – თამარ მოდებაძე და თამარ რუხაძემ, თეატრის მუზეუმის ხელმძღვანელთან რუსუდან დაუშვილთან, საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმთან ერთად თეატრის ცისფერ დარბაზში მოუყარეს თავი. გამოფენა 12 თებერვალს, პრემიერის წინ გაიხსნა. გამოფენის გახსნას კომპოზიტორ დავით თორაძის შვილები, ვახტანგ ჭაბუკიანის შთამომავლები, საბალეტო დასის პედაგოგები და ბალეტის ყოფილი მსახიობები დაესწრნენ.

EXHIBITION AT GORDA PREMIERE

Gorda’s first performance poster, sketches, unique photos and programs, ballet score, photos of different ballet performers – all archive material was presented at the Theatre’s Blue Hall. The exhibition was organized by Tamar Modebadze and Tamar Rukhadze, together with the Theatre’s Museum Director Rusudan Daushvili and the Museum of Theatre, Film, Music and Choreography of Georgia. The exhibition was launched on February 12, prior to the premiere and was attended by composer Davit Toradze’s children, Vakhtang Chabukiani’s descendants, ballet company tutors and former ballet dancers.

ლემსო და ალექსანდრე თორაძეები
LEXO TORADZE AND ALEXANDER TORADZE



ქართულ-იაპონური გალა

29 მარტს ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლეების მონაწილეობით რუსთაველის თეატრში ქართულ-იაპონური საქველმოქმედო გალა კონცერტი გაიმართა. ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლეებმა პ. ჩაიკოვსკის „მძინარე მზეთუნახავი“ წარმოადგინეს. ბალეტის რედაქცია ნინო ანანიაშვილსა და ვალენტის ბარტეს ეკუთვნით. გალა-კონცერტში ასევე იაპონიის ქალაქ კოიოტოს სხვადასხვა საბალეტო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. პროექტი ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოებისა და „არტე იტალიას“ ორგანიზებით განხორციელდა. საღამოდან მიღებული შემოსავლები მთლიანად მოხმარდება ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიული სასწავლებლის ნიჭიერ აღსაზრდელებს და საბალეტო ხელოვნების განვითარებას.



GEORGIAN-JAPANESE GALA

On March 29, the Vakhtang Chabukiani Choreographic School's students participated in a Georgian-Japanese Charity Gala Concert held in the Rustaveli Theatre. The students presented Nina Ananiashvili and Valentin Bartes' choreographic version of P.Tchaikovsky's *Sleeping Beauty*. Other participants of the Gala Concert were Kyoto Ballet School students and dancers of the State Ballet of Georgia. The project was organized by the Friends of Georgian

Ballet and "Arte Italia". Donations collected from ticket sales will benefit the growth of talented students of the Vakhtang Chabukiani Choreographic School and the development of ballet art.

საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებულები

რიგის საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე „ევენტუსი“ თბილისის ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლეებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს. სალომე ლევერაშვილმა პირველი ადგილი, ოქროს მედალი და გრან-პრი მოიპოვა კლასიკური ვარიაციის კატეგორიაში. კონკურსზე მან ესმერუალდას ვარიაცია იცეკვა ც. პუნის ბალეტიდან „ესმერაღადა“. მანვე თანამედროვე ცეკვის კატეგორიაში მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი დაიმსახურა. ამ ნომიციაში სალომემ იცეკვა ვარიაცია ი. პოსოხოვის ბალეტიდან „საგალობელი“. კლასიკური ცეკვის ვარიაციაში მეორე ადგილით და ვერცხლის მედალით აღინიშნა სასწავლებლის მოსწავლის თათული თალაკვაძის გამოსვლა. მან შეასრულა ვარიაცია ბალეტიდან „კორსარი“.

INTERNATIONAL CONTEST WINNER

Vakhtang Chabukiani choreographic school students achieved great success at Riga International Ballet Festival "Eventus". Salome Leverashvili won first place, golden medal and Grand Prix in Classical Dance Variation category for performing Esmeralda variation from C. Pugni's "La Esmeralda". She gained second place and silver medal in contemporary dance category, for performing Y. Possokhov's "Sagalobeli". Tatuli Talakvadze won second place and silver medal in Classical Dance Variation category for performing variation from ballet "Le Corsaire".

მარის ლიეპას იუბილი

10 მაისს ხელოვნების სასახლეში მეოცე საუკუნის ლეგენდარული მოცეკვავის მარის ლიეპას უნიკალური ფოტოებისა და კოსტიუმების ექსპოზიცია გაიხსნა. გამოფენა, რომელიც ხელოვანის 80 წლის იუბილეს მიეძღვნა, ქალაქ თბილისის მერიის მხარდაჭერით მოეწყო. თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმში გამოფენის გახსნის ცერემონიაში ანსამბლი „გეორგიკა“ მონაწილეობდა. ექსპოზიციის გახსნას მარის ლიეპას შვილები – ილზე და ანდრისი, საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ.

MARIS LIEPA'S ANNIVERSARY

On May 10, Art Palace Tbilisi hosted a unique photo and costume exhibition of the legendary dancer of the 20th century, Maris Liepa. The exhibition dedicated to the artist's 80th anniversary was organized with the support of the Tbilisi City Hall. Ensemble "Georgika" participated in the exhibition at the Art Palace – Museum of Theatre, Film, Music and Choreography. Maris Liepa's children, Ilse and Andris were also present at the event, as well as public representatives.



2016 წლის აპრილში იტალიასა და ესპანეთში საქართველოს სახელმწიფო ბალეტის გასტროლები გაიმართა. დასის გამოსვლები 8 აპრილს ვერონაში ჯორჯ ბალანჩინის პროგრამის წარმოდგენით დაიწყო. შესრულდა Concerto Barocco, სერენადა, ტარანტელა, ჩაიკოვსკი პა და დე. საგასტროლო სპექტაკლები 9 აპრილიდან ესპანეთის ქალაქებში – განდია, ტორევიხა, კალპე და ტერასაში გაგრძელდა. აქ წარმოდგენილი იქნა იური პოსოხოვის ერთმოქმედებიანი ბალეტი „საგალობელი“, გრან პა ბალეტიდან „დონ კიხოტი“, „შოპენიანა“ და „გარდის ზმანება“. გასტროლი 16 აპრილს ქალაქ ტერასაში დასრულდა, სადაც დასმა მიხაილ ფოკინის ქორეოგრაფიის საღამო წარმოადგინა.

The State Ballet of Georgia went on tour to Italy and Spain. The series of performances began on April 8 in Verona, covering George Balanchine’s program: Concerto Barocco, Serenade, Tarantella, and Tchaikovsky’s Pas de Deux. From April 9, the tour continued in Spanish cities Gandia, Torrevieja, Calpe and Terrassa, covering Yuri Possokhov’s one-act ballet Sagalobeli, Grand Pas from the ballet Don Quixote, Les Sylphides and Le Spectre de la Rose. The tour finished on April 16 in Terrassa, where the company presented Mikhail Fokine’s choreographic evening.

დეგას ტილოებით მშვენიერი

საქართველოს ბალეტი

Ballet of Georgia – Gorgeous as Degas’ paintings

ჯანი ვილანი
არენა

By Gianni Villani
L’Arena

L’ARENA
11.04.2016





ირინა
ბაგაურის
თარგმანი
Translation by
IRINA
BAGAURI

ბალანჩინის ქორეოგრაფიის
პოეტურ ენაზე გადმოცემული
ტიქნიკური სრულყოფილება

TECHNICAL PERFECTION EXPRESSED
IN BALANCHINE’S
CHOREOGRAPHIC LANGUAGE

„სერენადას“
გასაოცარი სიმსუბუქე

ASTONISHING GRACE
OF SERENADE

Seguici...    

Provincia - Veneto - Italia - Mondo - Economia - SPORT - CULTURA - SPETTACOLI - Foto - Video


L'Arena
06 giugno 2016

SPETTACOLI


Appuntamenti | Cinema | Musica | Teatro - Danza | Personaggi | TV | Artisti cercansi | Agenda

Home - Spettacoli


OGGI IN SPETTACOLI




Marracash e Guè Pequeno per 'Santeria'



Da Assisi a Genova, Sky tra meraviglie




Vetta hit parade a Sergio Sylvestre



Laura Pausini, vince la musica e il look

11.04.2016

Il Balletto della Georgia come un quadro di Degas



Un momento del Balletto della Georgia al Ristori FOTO BREZZONI Tutto Schermo

Aumenta

Diminuisce

Stampa

Invia

Commenta

Attrezzatissima e splendente compagnia, il Balletto Nazionale della Georgia (Teatro dell'Opera di Tblisi), che l'altra sera si è misurata al Ristori con alcune coreografie di George Balanchine, su musiche di Bach, Ciajkowskij e Gottschalk.

Balanchine continua così a parlarci il dolcissimo idioma della danza accademica. A questo vocabolario, materiato e sublimato nel corso

საქართველოს სახელმწიფო ბალეტი (თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დასი) ყოველმხრივ შემდგარი და ბრწყინვალე საბალეტო კომპანიაა, რომელმაც გასულ საღამოს, „რისტორის“ თეატრში ბალანჩინის მიერ ბახის, ჩაიკოვსკისა და გოტშალკის მუსიკაზე დადგმული რამდენიმე ნაწარმოები წარმოადგინა.

ამ ქორეოგრაფიით ბალანჩინი დღემდე განაგრძობს ჩვენთან აკადემიური ცეკვის უნაზესი ენით საუბარს. ამ ლექსიკას, რომელსაც ხორცი და დიდება საუკუნეების განმავლობაში ესხმებოდა, ინოვაციურმა და შთაგონებით აღსავსე რუსმა ქორეოგრაფმა ნეოლოგიზმები შემატა. მის შემოქმედებაში კლასიკური ბალეტი ახალი სტილით ცხოვრობს, რომელსაც მისი სახელი დაერქვა, მისი კუთვნილება გახდა. ეს სტილი არა სხვადასხვა სტილების უხეშ ნაზავს, არამედ უწყვეტი კვლევისა და ძიების შედეგს წარმოადგენს.

მისი ვიზუალური თვალსაწიერი ჩვენს თვალწინ ვითარდება: იშლება, სიმალლეში იზრდება და გასაოცარ ატმოსფეროს აღწევს. ეს ადამიანის სხეულის მოძრაობის სუბლიმაციაა: ესაა მოძრაობისას, სხეულის განსულიერებისას დანახული ადამიანი.

The State Ballet of Georgia (the Tbilisi Opera and Ballet's Theatre Company) – a brilliant company in every way – presented several performances on Bach's, Tchaikovsky's and Gottschalk's music at Ristori Theatre last night.

With his choreography, Balanchine continues to communicate with us in an academic dance language. The Russian choreographer, full of innovation and inspiration, added neologism to this majestic language. His works gave new life to classical ballet, which he made his own and transformed. This style represents not a rough mix of techniques, but is a result of continuous exploration and analysis.

Il Balletto della Georgia come un quadro di Degas

Le coreografie di Balanchine sanno fondere la perfezione tecnica con un clima di straniata poesia. Sublime la leggerezza rarefatta di «Serenade»

Gianni Villani

Attrezzatissima e splendida compagnia. Il Balletto Nazionale della Georgia (Teatro dell'Opera di Tbilisi), che l'altra sera si è misurato al fianco di George Balanchine, su musiche di Bach, Ciaikovskij e Gottschalk.

Balanchine continua così a parlare il dolcissimo idioma della danza accademica. A questo vocabolario, matriciato e sublimato nel corso dei secoli, il coreografo russo ha aggiunto i neologismi di cui erano capaci la sua inventiva e la sua ispirazione. In lui, il balletto classico tradizionale vive e rivive in uno stile che è diventato il suo, che gli appartiene, che non è contaminazione di altri stili, ma il risultato di una incessante ricerca.

Il suo contrappunto visivo germina sotto i nostri occhi, si scioglie, lievitava, raggiunge così la sublimazione del movimento, della figura umana, energia cinetica, della spiritualità del corpo.

E si è fatto pure vate della danza, vate che oggi si riallaccia alla tradizione o la si supera in atteggiamenti intellettualistici, malgrado la limitatezza del registro della sua poetica, derivata non tanto dall'affidarsi esplicito quanto dalla scienza costruttiva delle sue



Un momento del Balletto della Georgia al Ristori (romanesco)

composizioni. La giovane compagnia georgiana, in prevalenza femminile (25 danzatori dei 65 dell'organico, cura a Valentin), assistita nell'allestimento da Bart Cook, si è mostrata fedele alla sua formidabile tecnica - frutto di scuole distinte - famosa per la poetica e la sua sovrana eleganza e che a sua volta distingue ogni suo componente. Nulla da ridire sulla bravura di questi danzatori, specie negli atletici portamenti del pas de deux (quello dal Lago dei cischi) nei quali si riesce a cogliere l'ispirazione all'ovvio fisico che si libera dalla materia per assurgere a pura visualizzazione dello spirito.

Un'intera compagnia, che mostra nelle file validissime individualità, dove non si era mai visto tanto sincero per stile e afflato, come nel Concerto barocco su musiche di Bach che ha aperto la serata. Salti sospesi, equilibri infiniti, giri perfetti nel passo a due dal terzo atto del Lago dei cischi, con Nino Samadashvili (Yonen Takano e nella vincitrice Tarantella su musica di Gottschalk, danzata da Nutsa Chekurashvili/Samudi Elizer.

Il quadro finale con Serenade (primo lavoro di Balanchine nel suo debutto americano) sulla Serenata in do maggiore di Ciaikovskij) è un affresco di potente libertà. In un'atmosfera pallida, raffinata, le 17 protagoniste e i 4 uomini in aderenti costumi azzurri, eseguono una serie di figurette in cui i corpi toccandosi, danno origine a forte impatto visivo ed emotivo. Un finale dove le tre soliste, Nino Samadashvili, Nutsa Chekurashvili e Anna Maria, sembrano ballare in un'atmosfera uscita da un quadretto di Degas, dalle grandi doti fisiche e dalle linee lunghe, fino all'infinito. Ristori esaurito per l'occasione e applauso si entusiasma del pubblico (in prevalenza giovane) assiste alla direttrice artistica Nina Ananiashvili, ex stella del Bolshoi. E da noi si continua intanto a parlare di crisi del ballo. *

ის ცეკვის წინასწარმეტყველად იტყა. მის მიერ დამკვიდრებული ტრადიციების დაცვა და ინტელექტუალური შემოქმედების დაძლევა რთულია, მიუხედავად მაღალი პოეტური რეგისტრისა, რომელიც დასაბამს არა იმდენად ექსპრესიული შთაგონებიდან, არამედ კომპოზიციების აგების ღრმა ცოდნისგან იღებს.

ახალგაზრდა ქართულ დასთან, რომლის შემადგენლობაშიც მეტწილად გოგონები ირიცხებიან (კომპანიის 65 წევრიდან ჩვენს სცენაზე 25 წარსდგა, ამჟამად კი ისინი ვალენსიაში იმყოფებიან გასტროლზე) სადადგმო ნაწილზე ბარტ კუკმა იმუშავა. კომპანიამ ბალანჩინის უნაკლო ტექნიკისადმი უდიდესი ერთგულება და პატივისცემა გამოავლინა, რაც სხვადასხვა სკოლების

გონივრულად ათვისებული ცოდნის ნაყოფია, რომელსაც ქორეოგრაფმა მისთვის დამახასიათებელი პათეტიკური პოეტურობის კვალი დაასვა. სასაცილო სულაც არაა მათი მომზადების დონე, განსაკუთრებით კი თვალშისაცემია მათი ათლეთიზმი პა დე დეების შესრულებისას (მაგალითად „გედების ტბის“ პა დე დე), სადაც თვალნათელი ხდება, თუ როგორ იწევს უკანა პლანზე სხეული სულის სიშიშვლის წარმოსაჩენად.

ესაა შეკრული დასი, რომელიც ამავდროულად მკაფიოდ წარმოაჩენს მოცეკვავეთა ინდივიდუალობას, რომელმაც სტილიურად და სულისკვეთების თვალსაზრისით, კარგი სინქრონი გვიჩვენა ბახის მუსიკაზე შექმნილ „კონჩერტო ბაროკოში“, რომლითაც საღამო გაიხსნა. ჰაერში გამოკიდებული ნახტომები, უსასრულო წონასწორობა და სრულყოფილი პირუეტები ვიხილეთ „გედების ტბის“ მესამე მოქმედების პა დე დეში, ნინო სამადაშვილისა და იონენ ტაკანოს შესრულებით, ასევე ნუცა ჩეკურაშვილისა და სამუდი ელიეზის


His visual perspective is developed in front of us: releases, escalates and reaches an amazing atmosphere. It is a sublimation of movement of the human body: when the divine nature of body can be seen through motion.

He became a prophet in dance art. It is difficult to maintain traditions and overcome the intellectual art created by him, despite his great poetic register which originates not from expressive inspiration, but from deep knowledge of composition structure.

Bart Cook worked with the young Georgian company which counts mostly female dancers (25 members performed on stage, out of 65, as others are now on tour in Valencia). The company expressed great loyalty and respect towards Balanchine's flawless technique, which is a result of wise comprehension of various schools, influenced by the choreographer's typical poetic style of expression. Their significant athletic skills are especially vivid in the pas de deux performance (for instance pas de deux from Swan Lake), where the body moves aside to show the bareness of soul.

Company is coherent, at the same time, each dancer's individuality is well expressed, which the exceptional synchrony in Bach's *Concerto Barocco* demonstrated. High jumps, everlasting balance and flawless pirouettes were presented by Nino Samadashvili and Yonen Takano in the pas de deux of *Swan Lake*, as well as by Nutsa Chekurashvili and Solieh Samudio in joyful *Tarantella*, composed by Gottschalk.

The last performance of the evening was *Serenade* (the first ballet of Balanchine's American debut), which represents victorious fresco of freedom, based on Tchaikovsky's *Serenade* in C Major.





მიერ შესრულებულ გოტშალკის მუსიკაზე დადგმულ მხიარულ „ტარანტელაში“.

სალამო „სერენადით“ დასრულდა (ესაა ბალანჩინის ამერიკული დებიუტის პირველი ბალეტი), რომელიც ჩაიკოვსკის „სერენადა დო მაჟორის“ მუსიკაზეა დადგმული და ძალმოსილი თავისუფლების ფრესკას წარმოადგენს.

ფერმკრთალ, გაშლილ სივრცეში, გამჭვირვალე კოსტიუმებში გამოწყობილი 17 ბალერინა და 4 მოცეკვავე მამაკაცი ირევიან და დასაბამს აძლევენ ემოციურად შთამბეჭდავი სოლოების, დუეტების, ანსამბლების ცეკვას. ფინალში გრძელი, უსასრულო კიდურებითა და კარგი ფიზიკური მონაცემებით გამორჩეული ნაცნობი ტრიო – ნინო სამადაშვილი, ნუცა ჩეკურაშვილი და ანა მურადელი რომანტიკული ხანის, დეგას ნახატებიდან განსხვავებულ ბალერინებს ჩამოჰგვანანს. აღფრთოვანებული მაყურებლის ტაშმა (რომელთა რიგებშიც ძირითადად, ახალგაზრდები იყვნენ) რისტორის თეატრი ერთიანად მოიცვა. ტაში დაუკრეს სამხატვრო ხელმძღვანელ ნინო ანანიაშვილს – „ბოლშოის“ ყოფილ ვარსკვლავს. ეს იმ დროს, როცა ჩვენთან ჯერაც არ წყდება საუბრები ბალეტში არსებულ კრიზისზე.



In a pale, open space, 4 male dancers and 17 ballerinas in transparent costumes, join and create emotionally impressive solos, duets, assembly dances. Finally, the trio known for their distinctively stunning physical forms – Nino Samadashvili, Nutsa Chekurashvili and Ana Muradeli – appears, resembling ballerinas from Degas’ romantic era paintings. The Ristori Theatre was full of ovations by excited audience (mostly youngsters). The audience applauded Artistic Director Nina Ananiashvili, former star of Bolshoi Theatre. And all this happens while we are having nonstop debates about the crisis of ballet...

30.07.16
VERONA
2016



„ჩვენ მზის შვილები ვართ“ Children of the Sun

20 მარტს, თბილისის საკრებულოს საგამოფენო დარბაზში, დაუნის სინდრომის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა – „ჩვენ მზის შვილები ვართ“ გაიხსნა. ფოტოგებზე, უამრავ ემოციას შორის, ჩვენი და „მზის შვილების“ სტუმარ-მასპინძლობაც იყო აღბეჭდილი. ბავშვები და მობარდები აქტიურად ჩაერთნენ საბალეტო დასის რეპეტიციაში, უსმენდნენ კლასიკური მუსიკის შედეგვრებს, ცეკვავდნენ და მღეროდნენ მსახიობებთან ერთად. ეს მართლაც საინტერესო და დასამახსოვრებელი დღეები იყო არა მარტო მათთვის, არამედ ჩვენი დასისთვის. პროექტი განხორციელდა არასამთავრობო ორგანიზაცია „მზის შვილები – დაუნის სინდრომი“ და ეკატერინე ყიფიანის ინიციატივით.

ნინო ანანიაშვილი: „იმედი მაქვს ასეთი პროექტები ისევ განხორციელდება საქართველოში. ვიცი, რომ უცხოეთში ეს ხშირად ხდება, მეც მიმიღია მონაწილეობა. იმედი მაქვს ბავშვებს დღევანდელი დღე დაამახსოვრდებათ“.

ეკატერინე ყიფიანი: „პროექტის მთავარი მიზანი იყო დაუნის სინდრომის ცნობადობის ამაღლება საზოგადოებაში. გვინდოდა კიდევ ერთხელ შეგვეხსენებინა ყველასთვის ჩვენი ერთობა. ოპერის თეატრი არის ზღაპრული სამყარო, სადაც ოცნება აუხდა ლექსოს, სალომეს, ბარბარეს, ნოდარიკოს და თითოეულ მათგანს ვისაც ბალერინობა, მომღერლობა, დირიჟორობა სურდა. ჩვენ მზის შვილები ვართ“.

On March 20, a photo exhibition dedicated to the World Day of Down Syndrome – “We Are Children of the Sun” was launched at the Tbilisi City Assembly Exhibition Hall. Among numerous emotional photographs, one could find photos of children visiting the Tbilisi Opera and Ballet Theatre. Children and youngsters got actively engaged in ballet company rehearsals, listened to classical music, danced and sang together with the artists. Those days were truly exciting and memorable not only for them, but for our company, too. The project was organized with the support of the NGO “Children of the Sun” and Eka Kipiani.

Nina Ananiashvili: “I hope that more and more similar projects will be launched in the future. This practice is common abroad; I was also engaged in such programs before. I believe that the children will remember this day.”

Ekaterine Kipiani: “The main purpose of the project was to increase the awareness of Down syndrome. We strived to remind once more about our unity. The Opera Theatre is a fantasy world where dreams of Lekso, Salome, Barbare, Nodariko and each of them who wish to become ballerinas, singers, conductors – come true. We are children of the Sun.”

კახაბერ შარტავას ფოტოები
PHOTOS BY KAKHABER SHARTAVA

საქართველო ბალეტი
ძველმოწივთა სახეობა



Friends of
THE GEORGIAN BALLET

სეზონი 164 SEASON

თოშიო და ჰარუე კაითანი	თქორთ / GOLD COUPLE	TOSHIO AND HARUE KAITANI
შომბი შარპი და სარა უოტერსონი	თქორთ / GOLD COUPLE	SHOMBI SHARP AND SARAH WATTERSON
ნიქ და კარო უილკესი	თქორთ / GOLD COUPLE	CARO AND NICK WILKES
ენიდ და ოლივიერ ბიურკი	თქორთ / GOLD COUPLE	ENID AND OLIVIER BURKI
ანდრეას ჰეიდინგსფელდერი	თქორთ / GOLD COUPLE	ANDREAS HEIDINGSFELDER
გიორგი ჭირაკაძე და სარა უილიამსონი	თქორთ / GOLD COUPLE	GEORGE CHIRAKADZE AND SARAH WILLIAMSON
პოლ და მილა ჰოლოუეი	თქორთ / GOLD COUPLE	PAUL AND MILA HOLLOWAY
პამელა ჰლივა-ოლივიერ	თქორთ / GOLD INDIVIDUAL	PAMELA HLYWA-OLIVER
რებეკა ობრაინი	თქორთ / GOLD INDIVIDUAL	REBECCA O'BRIEN
სუსანა ჰერმანი	თქორთ / GOLD INDIVIDUAL	ZSUZSANNA HERMAN
ქაროლინ ფორესტიერი	თქორთ / GOLD INDIVIDUAL	CAROLINE FORESTIER
ფილიპ ლიმეტ დევეზი	თქორთ / GOLD INDIVIDUAL	PHILIPPE LIMET DEWEZ
სუსან ჩანონი	თქორთ / GOLD INDIVIDUAL	SUSANNE CHANNON
მაკა გოტსირიძე	თქორთ / GOLD INDIVIDUAL	MAKA GOTSIRIDZE
ვიქტორია შტორმი	თქორთ / GOLD INDIVIDUAL	VICTORIA SHTORM
ქრისტოფერ ბრინფილდი	თქორთ / GOLD INDIVIDUAL	CHRISTOPHER GREENFIELD
პატრიკ ჰონეფი	თქორთ / GOLD INDIVIDUAL	PATRICK HONNEF
ფრანესკა ჰემერი კელი	თქორთ / GOLD INDIVIDUAL	FRANCESCA HUEMER KELLY
დევიდ ლოუენს ლი	თქორთ / GOLD INDIVIDUAL	DAVID LAWRENCE LEE
ანა ბუტჩარტი	თქორთ / GOLD INDIVIDUAL	ANNA BUTCHART
ხატუნა ტხადაძე	თქორთ / GOLD INDIVIDUAL	KHATUNA TSKHADADZE
ორსოლია საროსი	თქორთ / GOLD INDIVIDUAL	ORSOLYA SÁROSSY
სტიუარტ ნელსონი და ლესლი ბასტერი	მერსილი / SILVER COUPLE	STUART NELSON AND LESLEY BAXTER
უილიამ და მილაგროს ლაჰუე	მერსილი / SILVER COUPLE	WILLIAM AND MILAGROS LAHUE
ნედ და კაროლ პენოქი	მერსილი / SILVER COUPLE	NED AND CAROL PENNOCK
აიბჰეან ო'კეფე და ნილს სკოტი	მერსილი / SILVER COUPLE	AOIBHEANN O'KEEFE AND NIELS SCOTT
გიედრიუს პუდჰიუნასი და ივეტა გედვილაიტე	მერსილი / SILVER COUPLE	GIEDRIUS PUODŽIŪNAS AND IVETA GEDVILAITE
პრიტ და პირჯო ტურკი	მერსილი / SILVER COUPLE	PRIIT AND PIRJO TURK
მარტინა კუიკ და ლეიფ ერიკსონი	მერსილი / SILVER COUPLE	MARTINA QUICK AND LEIF ERIKSSON
ციცერო მარტინს გარცია და ანჰელეს იგლესიასი	მერსილი / SILVER COUPLE	CICERO MARTINS GARCIA AND ANGELES IGLESIAS
იოს დომა და ალეიდ დომა	მერსილი / SILVER INDIVIDUAL	JOS DOUMA AND ALEID DOUMA
არჩილ კუბლავილი და ლუბა პროტსივა	მერსილი / SILVER INDIVIDUAL	ARCHIL KUBLASHVILI AND LUBA PROTSIVA
მოლი და ლილი ჰაიგი	მერსილი / SILVER INDIVIDUAL	MOLLY AND LILY HAIG
ულე სოსალუ	მერსილი / SILVER INDIVIDUAL	ÜLLE SOOSALU
სირჯე ლაივეე	მერსილი / SILVER INDIVIDUAL	SIRJE LAIDVEE
ვიქტორია აკუინი	მერსილი / SILVER INDIVIDUAL	VICTORIA ACQUIN
პიერე ოლოფი	მერსილი / SILVER INDIVIDUAL	PIERRE ORLOFF
კარლ ვაკერმანი	მერსილი / SILVER INDIVIDUAL	CARL WACKERMAN
ჟელე ვიელი	მერსილი / SILVER INDIVIDUAL	JOELLE VIEL
ეუდოსია C. ანდო	მერსილი / SILVER INDIVIDUAL	EUDOSIA C. ANDOH
ტომას პერნიკი	მერსილი / SILVER INDIVIDUAL	TOMÁŠ PERNICKÝ
მარტინ მაქსილიან კაიზერი	მერსილი / SILVER INDIVIDUAL	MARTIN MAXMILIAN KAISER
პლამენ ბონჩევი	მერსილი / SILVER INDIVIDUAL	PLAMEN BONCHEV
ლენა კილადე	მერსილი / SILVER INDIVIDUAL	LENA KILADZE
ნანა დვალი	მერსილი / SILVER INDIVIDUAL	NANA DVALI
კრაიგ ბონეტი	მერსილი / SILVER INDIVIDUAL	CRAIG BONNETT
იოჰანეს ვერნერი	მერსილი / SILVER INDIVIDUAL	JOHANNES WERNER
ბენჯამინ პაინი	მერსილი / SILVER INDIVIDUAL	BENJAMIN PAINE

სტიპენდიის საონსორები / SCHOLARSHIP SPONSORS

პატრიცია და ლუის ფაორო – ქეითი ფაოროს ხსოვნისათვის PATRICIA AND LOUIS FAORO – IN MEMORY OF CATHY FAORO
 „საქართველოს ამერიკელი მეგობრები“ AMERICAN FRIENDS OF GEORGIA

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ მოგვწეროთ / For additional information, please email:
 Friends.georgianballet@gmail.com



აიღე ან
გააერთიანე სესხი

 თიზისი ბანკი
T B C B A N K